

**ქეთევან ციხელაშვილი - მზად ვართ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი ნაბიჯი გადავდგათ ხიდების ასაშენებლად და ომით დაშორიშორებული საზოგადოებების შესარიგებლად**

**სახელმწიფო მინისტრის ინტერვიუ ახალი ამბების სააგენტო "ინტერპრესნიუსს".**



ქეთევან ციხელაშვილი - მზად ვართ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი ნაბიჯი გადავდგათ ხიდების ასაშენებლად და ომით დაშორიშორებული საზოგადოებების შესარიგებლად ინტერვიუ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ქეთევან ციხელაშვილთან.

- სოხუმის დაცემიდან 23 წელი შესრულდა. ამ დღეს განსხვავებულად აღნიშნავენ ენგურს აქეთ და იქით მხარეს. 23 წელი შეიძლება საკმარისი არ არის კონფლიქტის მოსაგვარებლად, მაგრამ წარსულის გასაანალიზებლად, გარკვეული ხედვის, პოლიტიკის შესამუშავებლად არც თუ ისე ცოტა დროა. საქართველოს ხელისუფლებას დეკლარირებული აქვს სამშვიდობო პოლიტიკა, თუმცა, რაიმე ხელშესახები წინსვლა არ ჩანს. თქვენ როგორ ხედავთ კონფლიქტის გადაწყვეტის გზებს?

- 27 სექტემბერი ძალიან მძიმე დღეა. როგორი აღქმაც არ უნდა გვქონდეს გამყოფი ხაზის იქით და აქეთ, ერთი რამ ყველას გვაერთიანებს - კონფლიქტმა ძალიან ბევრი ტკივილი მოიტანა, ბევრი სიცოცხლე შეიწირა, დევნილების ცხოვრებას ძალიან დიდი დაღი დაასვა, ყოველდღე კიდევ ძალიან ბევრი ადამიანი საკუთარ თავზე განიცდის ამ მოუგვარებელ კონფლიქტს. ეს არიან ადამიანები, ვისაც გამყოფი ხაზის გადაკვეთა უწევს ან ვერ კვეთს, ვისი შვილებიც ისეთ სკოლაში დადიან (მაგალითად, როგორც დიცმი), სადაც მავთულხლართი ეზოს ბოლოში გადის, საკუთარ მიწაზე წვდომა არა აქვთ და ა.შ. ამიტომ ძალიან ცოცხალია ეს ტკივილი. თუმცა, ნამდვილად საკმარისი დრო გავიდა იმისთვის, რომ ჩვენ დავინახოთ, რეალურად რა მოიტანა ამ დაპირისპირებამ ტკივილის გარდა და სად ვართ დღეს. შექმნილი ვითარება, ჩვენი ტერიტორიების განგრძობითი ოკუპაცია და მოუგვარებელი კონფლიქტი, არც ქართველების და არც აფხაზების ინტერესს ემსახურება. რა თქმა უნდა, არიან ძალები, რომლებიც ამ კონფლიქტის მოუგვარებლობით სარგებლობენ, მაგრამ ეს არცერთი ჩვენი ერი არ გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გვაშორებს, თუნდაც, კონფლიქტის ტკივილიანი გამოცდილება, მავთულხლართები და სხვა ბარიკადები, საოკუპაციო ჯარები და რუსული ტანკები, ბევრი რამ გვაერთიანებს კიდეც. ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კარგი ურთიერთობების ტრადიცია, კულტურული სიახლოვე, და ბოლოს და ბოლოს უამრავი შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახი, რომელთაც დღეს, გამყოფი ხაზის ერთ ან მეორე მხარეს უწევს ყოფნა ნათესავებისგან მოწყვეტილად. კიდევ ერთი, რაც გვაერთიანებს,

ალბათ, არის მშვიდობის და უკეთესი მომავლის სურვილი. დაწმუნებული ვარ, ის ხედვა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, ორივე საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. ჩვენი ხედვით, ეს არის ერთიანი მომავალი ევროპულ სახელმწიფოში - საქართველოში, როგორადაც ჩვენ ვვითარდებით და რაც უკავშირდება უკეთესი განვითარების, კეთილდღეობის, ადამიანის უფლებების, პიროვნული თავისუფლების და ეროვნული იდენტობის დაცვის პერსპექტივებს. ჩვენ მზად ვართ, გავხსნათ სივრცე და მეტი სერვისი შევთავაზოთ მოსახლეობას, რომელიც გამყოფ ხაზებს იქით ცხოვრობს. ციფრებზე საუბარი არ მინდა, მაგრამ მაგალითად ჯანდაცვის პროგრამა ძალიან კარგად მუშაობს - გაცილებით მეტი პაციენტი ჩამოდის ბოლო 3 წლის განმავლობაში, რაც აჩვენებს იმას, რომ მეტია ნდობა. ჩვენი ამოცანაა, რომ სხვა შესაძლებლობებიც გავხსნათ, მაგალითად ის, რომელიც უკავშირდება განსაკუთრებით ევროკავშირთან პარტნიორობას. ჩვენ ველოდებით სიკეთეებს და ნაწილი უკვე გვაქვს ასოცირების შეთანხმებიდან. ველოდებით უვიზო მიმოსვლას. ეს ყველაფერი გვინდა, ასევე, ხელმისაწვდომი გავხადოთ აფხაზებისა და ოსებისთვის და ყველა იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის, ვინც იქ ცხოვრობს. როცა ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ მზად ვართ საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის და განვითარების სარგებელი გავუზიაროთ გამყოფი ხაზების მეორე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას, აქ არ იგულისმბება მხოლოდ მატერიალურად ხელშესახები, ეკონომიკურ განზომილებაში დათვლადი სიკეთეები. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია თავისთავად. მაგრამ ეს სარგებელი ასევე უკავშირდება ერთიანი მომავლის ისეთ ხედვას, სადაც ყველა ინდივიდის და ეთნიკური ჯგუფის იდენტობა დაცულია და აქვს თავისუფლად განვითარების საშუალება. ეს უმნიშვნელოვანება აფხაზებისთვის, მითუმეტეს, იმ რუსიფიკაციის ინტენსიური პროცესების ფონზე, რაც დღეს იქ მიდის. ჩვენ ბოლო 4 წელია ვახორციელებთ მიზანმიმართულ მშვიდობიან, პრაგმატულ, პრინციპულ, კონსტრუქციულ პოლიტიკას. ერთი მხრივ, ჩვენი ძალისხმევა არის სრულიად შეურიგებელი და პრინციპული, როდესაც საქმე ეხება ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაციას და ასე გაგრძელდება ამ ამოცანის მიღწევამდე. ეს არის ჩვენი ხაზი რუსეთთან მიმართებაში, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით და მეორეა პირდაპირი დიალოგის ხაზი აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან. ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად შევცვალეთ მანამდე არსებული პოლიტიკა და მზად ვართ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი ნაბიჯი გადავდგათ ხიდების ასაშენებლად და ომით დაშორიშორებული საზოგადოებების შესარიგებლად. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ გონივრული პოლიტიკით მოვახერხეთ, მასშტაბურ კონფლიქტში ჩათრევისგან გადაგვერჩინა თავი გამუდმებული პროვოკაციების ფონზე და ძალიან რთული რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. მე ვფიქრობ, ჩვენ ძალიან კომპლექსური ხედვა გვაქვს - ის არის მშვიდობიანი, პრაგმატული, პრინციპული დეოკუპაციასთან მიმართებაში, კონსტრუქციული, გამოსავლებზე და ადამიანზე ორიენტირებული. ჩვენი მიზანი - ქვეყნის გაერთიანება პირველ რიგში სწორედ ჩვენი ხალხის გაერთიანებას გულისხმობს. ეს არის ერთადერთი გზა სტაბილური მშვიდობისათვის.

- თქვენ თქვით, რომ მზად ვართ, აფხაზებს და ოსებს გავუზიაროთ ის სიკეთეები, რასაც

ასოცირების შეთანხმება გვაძლევს. გვაქვს კი კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ისინი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით სარგებლობით დაინტერესდნენ, თუ ჯერ ნაადრევია ამაზე საუბარი?

- მე ზოგადად აგიხსენით, რომ სხვადასხვაგვარი სიკეთე გვინდა გავხადოთ ხელმისაწვდომი. მზად ვართ, ყველაფერი შევთავაზოთ, მათ შორის უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა.

აფხაზეთში მცხოვრებთ შეუძლიათ აიღონ ქართული პასპორტი მაგალითად იუსტიციის სახლში ზუგდიდში და მერე, მაგალითად, ქუთაისის აეროპორტიდან ძალიან იაფად გაემგზავონ ევროპის სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა მიზნით, მოკლევადიანი სასწავლო ვიზიტი, ხელოვნება, მეცნიერება, ტურიზმი. ა.შ. ჩვენთვის მთავარი ამოცანაა მათთვისაც ხელმისაწვდომი გავხადოთ ის, რაც საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებს გააჩნიათ. ეს მოითხოვს განსაკუთრებული გამოსავლების მოძიებას, ამ ვითარებაში, როცა ხელოვნური ბარიკადები გვაშორიშორებს.

- თუ არის საუბარი გამონაკლისებზე, რომ აფხაზებმა და ოსებმა ვიზალიბერალიზაციით ისარგებლონ ქართული პასპორტის აღების გარეშე, ვგულისხმობ სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტებით?

- ასეთ გამონაკლისებზე საუბარი ვერ იქნება, იმიტომ რომ ეს არის საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიმდინარე პროცესი. ჩვენ ძალიან საპასუხისმგებლო და შრომატევადი რეფორმები ჩავატარეთ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით შესასრულებლად. ჩვენ, როგორც პასუხისმგებელი მხარე, ვალდებული ვართ, დავიცვათ ჩვენი ვალდებულებები, უსაფრთხოების ზომები, გვქონდეს მოწესრიგებული მიგრაციის პოლიტიკა და ა.შ. ევროკავშირს აქვს თავისი ძალიან მკაცრი მოთხოვნები, მითურებელი ახლა, მიგრაციის კრიზისიდან გამომდინარე. ჩვენი ეს შეთავაზება აფხაზური და ოსური საზოგადოებისთვის უკვე მოითხოვს ჩვენი მხრიდან დამატებით სამუშაოს გაწევას, მოითხოვს ბევრ შრომას, იმიტომ, რომ ჩვენ იქ კონტროლს ვერ ვახორციელებთ. 12 ქვეყანასთან, საიდანაც 9 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა, რომელსაც აღიარებული აქვს ჩვენი სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტები, შეიძლება ინდივიდუალურ რეჟიმში გარკვეული მოლაპარაკებები გვქონდეს, რომ გამარტივდეს სავიზო რეჟიმი მომავალში ან საერთოდ გაუქმდეს ამ დოკუმენტის მფლობელთათვის, მაგრამ ვიზის ლიბერალიზაცია არის საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პროცესი. ეს გაცილებით მასშტაბური და მნიშვნელოვანია. ამიტომ ამ ეტაპზე არ არის საუბარი იმაზე, რომ სტატუს-ნეიტრალურ დოკუმენტების მფლობელები უვიზო რეჟიმით ისარგებლებენ.

- ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ გაახმოვანა საქმიანი წინადადება აფხაზებისადმი, რომელიც გამყოფი ხაზის იქით მაღალი კლასის სასტუმროსა და ბოტანიკური ბაღის მშენებლობას ითვალისწინებს. ამ ინიციატივის ღიად გაცხადებამდე, აღმართ, იყო გარკვეული კონსულტაციები და თქვენ თუ იყავით ჩართული? ამასთან, თავად ივანიშვილმაც თქვა, რომ აფხაზებამდე ამბის მიტანის მცდელობა იყო, მაგრამ „შეჯერება ვერ მოხდა“. თუ

**წინასწარ ვიცით აფხაზური მხარის დამოკიდებულება, რომ ისინი არ არიან თანახმა ამ პროექტის განხორციელებაზე, მაშინ მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის, წინასაარჩევნოდ გაუღერებულ ინიციატივასთან ხომ არ გვაქვს საქმე? თუ თქვენ მაინც გაქვთ მეორე მხრიდან შემხვედრი ნაბიჯების მოლოდინი?**

- ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა და უპრეცედენტო, მასშტაბური შეთავაზება, რომელიც სრულიად ეხმაინება სახელმწიფო პოლიტიკას. მე ვფიქრობ, მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა იმას, რომ ეს წინადადება ახლა, სოხუმის დაცემის წინა დღეს გაუღერდა, როგორც ნაბიჯი მტკიცნეული წარსულიდან შერიგებისა და მშვიდობიანი მომავლისკენ. ის რომ აფხაზურ მხარესთან შეჯერება ვერ მოხდა, ასეა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ დახურულია ამის პერსპექტივა. ასეთი მესიჯი არ გვაქვს. პირიქით, ეს წინადადება არის ღია და ქმედითი, ამ ინიციატივის უკან დგას, სხვათაშორის, კონკრეტული პროექტიც და არა მხოლოდ გაცხადებული მზაობა. მართალია, ეს არის კერძო ინიციატივა, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, კარგად ეხმაინება ჩვენს პოლიტიკას. ჩვენ მზად ვართ ახალი ინიციატივები, უფრო მიმზიდველი წინადადებები შევთავაზოთ გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას, რაც მათ ინტერესებსაც ეხმაინება და გავუზიაროთ ამით ჩვენი განვითარებიდან მიღებული სარგებელი. სახელმწიფო, თავის მხრივ, სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში გადადგამს სხვადასხვა ნაბიჯს, და ცხადია, შესაძლებელია, რომ ყოველთვის ყველაფერზე არ იყოს მყისიერი თანხმობა. ყველას კარგად ესმის, ჩვენ რა ვითარებაში ვართ და რა წერტილიდან გვიწევს პროცესის დაძვრა.

- **საზოგადოებრივი აზრის კვლევებს თუ დავეყრდნობით, ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო იკლებს იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებს შორის ტერიტორიული მთლიანობას ასახელებს. ახლა საპარლამენტო არჩევნების რეჟიმში ვიმყოფებით და მიუხედავად ამისა, კონფლიქტების თემატიკა პარტიების პროგრამებში, წინასაარჩევნო დებატებში, ნაკლებად ჩანს. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

- მე ვერანაირ კომენტარს ვერ ვაკეთებ საერთო სურათზე იმიტომ, რომ ჩემთვის ნომერ პირველი ამოცანაა ყველაფერი, რაც ამ თემას და სამშვიდობო პროცესს უკავშირდება. მე შემიძლია თამამდ ვთქვა, რომ ხელისუფლებისთვის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. ზოგადად, გამოკითხვებში თუ ჯერ სოციალური საკითხები ლიდერობს, მე ვფიქრობ, რომ ეს ჯანსაღი მიდგომაა და მანიშნებელია იმისა, რომ ადამიანები რაციონალურად ფიქრობენ. ადამიანი თუ იმას ფიქრობს, რომ უნდა დასაქმდეს და სიღარიბეს თავი დააღწიოს იმისთვის, რომ მას, მის ოჯახს, მის შვილებს ჰქონდეს ღირსეული ცხოვრების და მომავლის პერსპექტივა, ეს ჯანსაღი დამოკიდებულებაა და სულაც არ ნიშნავს, რომ ის მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს და სხვა არაფერი აინტერესებს და თუ ტერიტორიული მთლიანობა ამგვარ საზოგადოებრივ გამოვითხვაში მესამე ამოცანად გამოჩნდა, ეს პირიქით მიანიშნებს, რომ საზოგადოებისთვის ეს არის მაღალი პრიორიტეტი და ნიშნავს, რომ ადამიანებს ეს საკითხი ძირეულად აწუხებთ. განგრძობითი ოკუპაცია საუბედუროდ, ჩვენი თანამედროვეობის თანმდევი პრობლემაა, ბევრი ადამიანისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში

და ვიდრე ეს საკითხი არ მოგვარდება, მაღალ პრიორიტეტად დარჩება. პარტიების მიდგომებს რაც შეეხება, შესაძლოა, ბევრს გულზე მჯიღის ცემა წინასაარჩევნოდ ახსენდება, თუმცა ეს არ არის არც ჩემი და არც ამ ხელისუფლების სტილი და არ მგონია, ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება იყოს. მე როდესაც ჩავდივარ რეგიონებში, მავთულხლართების სიახლოვეს, ძალას და მოტივაციას ვიღებ ადამიანებისგან, ვინც კონფლიქტის პირისპირ ცხოვრობენ ყოველდღე. ისინი იქცევიან ძალიან ბრძნულად და გონივრულად. ვიღაც შეიძლება ჩავიდეს, ხმამაღლა იყვიროს და მერე წამოვიდეს. ეს ადამიანები კი ყოველდღე ცხოვრობენ იქ, მუშაობენ, ბავშვებს ზრდიან, მოსავალი მოჰყავთ და ისინი იქცევიან ბრძნულად, იცავენ მშვიდობას, აქვთ შეგრძნება იმისა, როგორ არის უმჯობესი რომ მოიქცნენ და იყურებიან მომავლისკენ. ჩემთვის ისინი არიან შთაგონების წყარო და თანამედროვეობის გმირები და არა ის, ვინც უფრო ხმამაღლა იყვირებს. ამ ძალიან სენსიტიურ სფეროში მთავარია საქმე და არა ის, რომ ვიღაცამ ვიღაცას ცხელ რიტორიკაში აჯობოს. პირიქით, თუ პასუხისმგებლობის თვალით შევხედავთ, ამით ზოგჯერ საქმე ზარალდება კიდევ ამ სფეროში. საქართველოს ერთიანობა, დეკუუპაცია ის თემაა, რომლის ირგვლივაც ყველა მოქალაქე და პოლიტიკური ძალა უნდა გაერთიანდეს. ამით მანიპულირება და მითუმეტეს, მგრძნობიარე და სახელმწიფოებრივი თემებით სპეცულირება, რაც ხშირად ადამიანების უსაფრთხოებას უკავშირდება, არ შეიძლება.

- თქვენ პაატა ზაქარეიშვილის მოადგილე იყავით და შესაბამისად, იზიარებთ მის პოლიტიკას და ხედვებს. მიუხედავად ამისა, გაქვთ რაიმე განსხვავებული მიდგომები, რომელსაც პირებთ რომ შეიტანოთ ამ უწყების მუშაობაში და ზოგადად, პოლიტიკაში?

- მშვიდობიანი, პრაგმატული, ხმამაღლალ რიტორიკაზე ნაკლებად მიმართული და ნდობის მშენებლობაზე მიმართული პოლიტიკის ხაზი არის ის, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ. ეს არის მთავრობის ხედვა. რაც შეეხება ნაბიჯებს, დროშიც უნდა დავინახოთ ეს ამბავი. ერთი ეტაპი გავიარეთ. ახლა არის მომდევნო ეტაპი. ჩემი სურვილი და ამოცანაა მეტი დინამიკა გაჩნდეს სამშვიდობო პროცესში, შერიგების პროცესში. პრემიერმა გააკეთა მინიშნება, რომ მზად ვართ, მეტი ნაბიჯი გადავდგათ და 26 სექტემბერს, განმუხურში პრეზენტაციისას კიდევ ერთხელ გააუღერა გულწრფელი გზავნილი აფხაზების მიმართ, რომ მზად ვართ გავუზიაროთ აფხაზებს და ოსებს ის სიკეთეები, რომლითაც საქართველოს სხვა მოქალაქეები სარგებლობენ. ჩვენ, როგორც სახელმწიფო მზად ვართ გავწიოთ ამისთვის საჭირო შრომა და გავხადოთ ეს სერვისები და სიახლეები კონკრეტული და ხელმისაწვდომი.

- მას შემდეგ რაც სახელმწიფო მინისტრის პოსტი დაიკავეთ, ჟენევის დისკუსიებში ვინ შეგვლით?

- ჟენევის დისკუსიებში ჩემი მოადგილე მიიღებს მონაწილეობას. ეს დისკუსიები მნიშვნელოვანია და უნდა გაგრძელდეს. მე ის უპირატესობა მაქეს, რომ პირადად მივიღე მონაწილეობა 14 რაუნდში, ამიტომ დაუსწრებლადაც მგონია, რომ პულსზე ხელი მექნება. სამწუხაროდ, შედეგის თვალსაზრისით ძალიან პოლიტიზირებულია ჟენევის დისკუსიის

ფორმატი და მწირია პროგრესი, მითუმეტეს საკვანძო საკითხებზე. თუმცა, ეს საკითხები, როგორიც არის ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, რაც რუსეთს აქვს დასადასტურებელი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების ამოქმედების აუცილებლობა და დევნილების დაბრუნების საკითხი, ასევე რიგი ჰუმანიტარული და უსაფრთხოების საკითხები პრინციპულია ჩვენთვის და ცხადია, იქნება მთავარი ჟენევის დღის წესრიგში. ამგვარი პრინციპული საკითხებისთვის ჟენევაც გამოყენებული იქნება და ნებისმიერი სხვა ფორმატი, რაც შეიძლება სამშვიდობო პროცესმა მოიტანოს.

- **სხვა ფორმატებზე როდესაც საუბრობთ, რას გულისხმობთ? მაგალითად, ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლებებთან პირდაპირი დიალოგის მომხრე ხართ?**

- 2013 წლის 8 აგვისტოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა გააუღერა წინადადება სამშვიდობო კონტექსტში, რომ მზად ვართ პირდაპირი დიალოგის და კომუნიკაციისთვის აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან, მათ შორის დე ფაქტო ხელისუფლებებთან. მათი მხრიდან ამ წლების განმავლობაში არ მიგვიღია ქმედითი და შესაბამისი უკუგება ამაზე. რეაგირება ან მზაობა საკმაოდ მოკრძალებულია და დიალოგი უფრო არაფორმალურ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დონეზე არჩიეს. თუმცა, ესეც მნიშვნელოვანია - რა დონეზეც არის მზაობა, ჩვენ გავაგრძელებთ ამ დიალოგს, თუმცა სურვილი გვაქვს, რომ ის უფრო არსებითი და ინტენსიური გახდეს. ყველაფერი მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესში. თავისთავად დისკუსია მნიშვნელოვანია, ნდობის აღდგენისთვის ქმნის წინაპირობას. მაგრამ ჩვენი ამოცანაა, რომ ეს ყველაფერი გახდეს მეტად საქმიანი და გამოსავალზე ორიენტირებული. გარკვეული ნდობა აუცილებელია იმისთვის, რომ ურთიერთობები აღდგეს და საქმეზე ქმედითად ისაუბრო. თავის მხრივ, საქმიანი განწყობა და საქმე აჩენს ნდობას. ეს ურთიერთდაკავშირებული პროცესებია და ძალიან მნიშვნელოვანი შერიგების პროცესისთვის. ამიტომ ჩვენ გამოსავლებზე, შედეგზე ორიენტირებული კონსტრუქციული მიდგომა ნამდვილად გვექნება.

- **თუმცა დე ფაქტო ხელისუფლებებთან დიალოგში შესვლა და მათი მხარეებად აღიარება ქმნის თუ არა საფრთხეს, რომ ერთი მხრივ, მათი ლეგიტიმაცია ხდება, მეორე მხრივ - რუსეთის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, თითქოს მოსკოვი არაფერ შუაშია და აფხაზები და ქართველები, ასევე აფხაზები და ოსები ერთმანეთში მოილაპარაკებენ?**

- თავისთავად საუბარში პრობლემა არ არის. მაგალითად ჟენევის დისკუსიებში მეორე რაუნდიდან მონაწილეობენ აფხაზი და ოსი მონაწილეები.

- **მაგრამ იქ ოფიციალური სტატუსი არ აქვთ...**

- საუბარი არ ნიშნავს აღიარებას. საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობას, ეს არის მყარი პოლიტიკა და შესაბამისად, არ აღიარებს მათ სტატუსს. სხვა ამბავია, რომ რუსეთს მართლაც აქვს

მცდელობა საკუთარი როლის, როგორც კონფლიქტის უშუალო მხარის როლის ტრანსფორმაციისა და ეს მარტო საქართველოს კონტექსტში არ ხდება. საკმაოდ თვალსაჩინოა ეს ტაქტიკა, თუნდაც აღმოსავლეთის პარტნიორობის სამეზობლოს თუ გადავხედავთ და ნათლად დავინახავთ, რომ ექვსიდან ხუთ ქვეყანას მოუგვარებელი კონფლიქტი აქვს. ამ კონფლიქტებს ერთი საერთო მაინც აქვს და ეს რუსეთია, როგორც აქტორი ამა თუ იმ ფორმით, თუმცა, ეს სხვა თემაა. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები კი შეიქმნა რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ და 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე. დისკუსიების პირველივე რაუნდებიდან იქ აფხაზი და ოსი მონაწილეებიც არიან, სხვადასხვა საკითხზე ვლაპარაკობთ და ამით მათი აღიარება არ მომზდარა. მუდმივად არის ამის მცდელობა სტატუსთან დაკავშირებით გარკვეული მანევრებისა, მაგრამ ეს არ მოხდება. არაღიარების პოლიტიკა კიდევ ცალკე განზომილებაა, არის წარმატებული და გაგრძელდება. ეს ქმნის ჩარჩოს იმისთვის, რომ ჩვენ გარკვეული ნაბიჯები გადავდგათ. მარტო ჩვენ კი არა, ჩვენივე წარსულში, 23 წლის განმავლობაში და სხვა კონფლიქტებშიც სხვადასხვა ფორმა არსებობს, როგორ შეიძლება დაილაპარაკონ დაპირისპირებულმა თუ კონფლიქტში მყოფი მხარეების წარმომადგენლებმა. IPRM-ის ფორმატშიც ვხვდებით და სხვა ფორმატში თუ შევხდებით, ეს არ ნიშნავს, რომ ვაღიარებთ მათ დამოუკიდებლობას ან ლეგიტიმურობას. მაგრამ აღიარებ იმას, რომ ესაუბრო როგორც მხარეს, კონკრეტულ მხარეს, რომელთანაც რაღაც გაქვს სასაუბრო. მე ვფიქრობ, ეს ორი სხვადასხვა რამეა. სტატუსი უნდა გაიმიჯნოს, მაგრამ დიალოგს და კონტაქტებს ხელი უნდა შეეწყოს და ეს არის შესაძლებელი. მთავარია, რომ ვიცოდეთ, რა მიზნისკენ ვმომრაობთ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ჩვენი გზა არის მშვიდობიანი, განვითარების, მეტი მიმზიდველობის და უკეთესი მომავლის გზა, რასაც ვუპირისპირებთ მავთულხლართებს, ოკუპაციას და დე ფაქტო ანექსიის მცდელობას. ეს არის სამწუხარო რეალობა და რეალური პრობლემა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და არა არარსებული დამოუკიდებლობა, რასაც არ აქვს პერსპექტივა. ვფქირობ, ახლა აფხაზურ საზოგადოებაში რეალობის აღქმა უფრო რეალური ხდება. გარკვეული ეიფორიები და ილუზიებიც არსებობდა რუსეთთან მიმართებაში (ზოგს ეს არც არასდროს ჰქონია), მაგრამ ახლა საზოგადოების უფრო ფართო ნაწილი ხედავს, რაც ხდება, რომ ეს რეალურად ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება სინამდვილეში არის ექსკლუზიური რუსული კონტროლი, იქ არ უშვებენ საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმს, არ უშვებენ ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტს, ხდება ინტენსიური მილიტარიზაცია და რუსიფიკაცია ყველა სფეროში. ამას აფხაზები განიცდიან და ძალიან საფუძვლიანადაც. უკვე ძალიან ხშირად ისმის კრიტიკული ხმა და ეს სწორი რეაქციაა. ამ ფონზე, მე ვფიქრობ, რომ, ალბათ, უფრო მეტი დაფიქრება საჭირო, საერთოდ რა არის ამოცანა აფხაზური საზოგადოების ან რა იყო ადრეც, რისთვისაც ვინმეს ეგონა რომ იბრძოდა? იყო ეს იდენტობის დაცვა? მაშინ ამ იდენტობას დღეს იმგვარი საფრთხე ემუქრება, როგორც არასდროს, რომ აღარაფერი ვთქვათ მაგალითად იმავე გალის ქართული მოსახლეობის მიმართ ეთნიკურ დისკრიმინაციასა და რუსიფიკაციის მცდელობებზე, რაც კიდევ უფრო თვასაჩინო პრობლემაა.

- როგორ ფიქრობთ, რა დრო დასჭირდება აფხაზურ საზოგადოებას, რომ ეს რეალობის უკეთესი აღქმა და კრიტიკული განწყობები რუსიფიკაციის პროცესისადმი კონკრეტულ პოლიტიკაში ტრანსფორმირდეს?

- ყველაფერს, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო სჭირდება. მაგრამ დრო პირობითა ამ სფეროში. აյ მნიშვნელობა აქვს ფაქტორების განლაგებას. არსებობს ძალიან ბევრი ფაქტორი და მათი ერთობლიობა განსაზღვრავს წინაპირობებს და კონტექსტს. მათ შორის ჩვენი პოლიტიკა, მისი მდგრადობა და მიზანმიმართულობა ერთი და მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენი ქვეყნის განვითარება, გაძლიერება და ევროპული ინტეგრაცია მნიშნველოვანი ფაქტორია. არსებობს რუსეთის ფაქტორის, როგორ კონფლიქტის მხარის და ამ ფაქტორის განჭვრეტა დიდწილად შესაძლებელია, თუნდაც დღევანდელობიდან გამომდინარე, როცა რეგიონში არსებულ ყველა მოუგვარებელ კონფლიქტი არსებობს რუსეთის ფაქტორი. არის კიდევ საერთაშორისო საზოგადოების ფაქტორი, რომელიც მხარს გვიჭერს და არის აფხაზური საზოგადოების ფაქტორი. აქ საინტერესოა, რამდენად ექნება აფხაზურ საზოგადოებას ადეკვატური რეაქცია ჩვენს წინადადებებზე საკუთარივე ინტერესიდან გამომდინარე. დღეს აფხაზეთზე ვსაუბრობ, რადგან სოხუმის დაცემის წლისთვია, მაგრამ ასევე ვგულისხმობ ოსურ საზოგადოებას. იქ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა, იმიტომ რომ რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი აღარ ცხოვრობს იქ. არ ვგულისხმობ მხოლოდ გამოდევნილ ქართულ მოსახლეობას. თითქმის დაცარიელებულია და გაფართოებულ სამხედრო ბაზად არის ქცეული ცხინვალის რეგიონი. რთულია მავთულხლართებით შემოფარგლულ, ფაქტორივად ჩაკეტილ ტერიტორიაზე ცხოვრება. ამასთან, ჩართულია საინფორმაციო პროპაგანდის მანქანა და როგორც იცით, ეს მარტო საქართველოში, მის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ ხდება. ჩვენი ამოცანაა, რომ ობიექტური ინფორმაცია მივიტანოთ მოსახლეობამდე, შევქმნათ სივრცე, თავისუფალი განსჯის, აზროვნების და წლების განმავლობაში გამყარებული სტერეოტიპების, მტრის ხატის და ყალბი ნარატივების გადაფასების. აუცილებელია მეტი კონტაქტი წახალისდეს. მათ თავად აქვთ ინტერესი და არ გვჭირდება რაიმეს ხელოვნურად გაკეთება. მთავარია ამას ხელი არ შეეშალოს და ეს ჩვენი საზოგადოებების საერთო ამოცანაა, საერთო ინტერესიდან გამომდინარე.

- გიგა ოთხოზორიას მკვლელობის შემდეგ დაისვა საკითხი, ხომ არ უნდა გადაიხედოს ადრინდელი გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, როგორ და სად უნდა განლაგდნენ ქართველი ძალოვნები საოკუპაციო ხაზთან. იგივე ვახტანგ ყოლბაიამ „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში თქვა ასეთი რამ: „სოფელ ხურჩაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გაძლიერებული პოსტი რომ არ გაუქმებულიყო, კანჯი იღლი და მისი თანამზრახველები ამ დანაშაულის ჩადენას ვერ გატედავდნენ“. ხომ არ იგეგმება ცვლილებები ამ მიმართულებით?

- ჩვენი სამართალდამცველებისგან მაქვს ინფორმაცია, რომ პოსტი ისევ იქ დგას, სადაც იდგა ამ წლების განმავლობაში და იმავე სიმძლავრეებით. უკვე მომავალში, თუ საჭიროება მოითხოვს უსაფრთხოების ზომები გაძლიერდეს, შეიძლება მცირე ცვლილებები იყოს, მაგრამ მასშტაბურ გადაადგილებებზე საუბარი ამჟამად არ არის.

- აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებს რომ შევეხოთ, რა დასკვნის საფუძველს გაძლიერებას იგივე დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ვიაჩისლავ ჩირიკბას გათავისუფლება?
- ასეთი გადაადგილებები ადრეც მომხდარა და შეიძლება მომავალშიც მოხდეს. არ მგონია, ეს რაიმე მიდგომების ცვლილებას უკავშირდებოდეს,. როგორც ჩანს, პირობითად ძალაუფლების შიდა გადანაწილებასთან გვაქვს საქმე.
- და ბოლოს, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, არჩევნების შემდეგაც თქვენ მოიაზრებით შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე? თუ იყო ამაზე საუბარი?
- ამ შეკითხვაზე შემიძლია გაგცეთ ასეთი პასუხი: ეს პოლიტიკა გაგრძელდება.

ნინო ჩიჩუა

„ინტერპრესნიუსი“